2025

ააიპ პროფეისული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, 2025 წლის თებერვალი-ნოემბრის პერიოდში, ექსტრაკულიკულური აქტივობების ფარგლებში, განხორციელდა პროექტი ეკო კლუბი „ფაზისის მწვანე აკადემია: პროფესიული განათლება ბუნების სამსახურში“. კლუბი ჩამოყალიბდა კოლეჯის „ფაზისი“ ბაზაზე, ინკლუზიური და ინტერდისციპლინური მიდგომით.

პროექტში მონაწილეობდა 20 სტუდენტი (11 გოგო, 9 ბიჭი) სხვადასხვა პროფესიული პროგრამიდან: გარემოს დაცვა, მეთევზეობა, ლაბორატორიული საქმე, IT ტექნოლოგიები და მომსახურების მიმართულებები.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:

- პანტომით საველე გასვლები კოლხეთის ეროვნულ პარკში;
- გადამფრენი ფრინველების მონიტორინგი კოლხეთის ეროვნულ პარკში;
- წყლის ეკოსისტემების კვლევა კოლეჯის ლაბორატორიაში;
- მონაცემთა დამუშავება და ვიზუალიზაცია;
- ფოტო-ვიდეო დოკუმენტირება და გამოფენა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

პროექტის შედეგად მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული გარემოსდაცვითი გამოცდილება, განუვითარდათ ეკოლოგიური ცნობიერება და კვლევითი უნარები. ეკო კლუბი ფუნქციონირებს როგორც მდგრადი და რეგულარული პლატფორმა კოლეჯის ექსტრაკურიკულური საქმიანობის ფარგლებში.

2024

2024 წლიდან კოლეჯის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომელსაც სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს. საერთაშორისო სტანდარტების სამი სასწავლო სახელოსნო აშენდა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის: „ამწის ოპერირება“, „ელექტროობა“, „საკონდიტრო“. შენობაში განთავსებულია ოთახები როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სწავლებისთვის. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო სახელოსნოებში შეძლებენ.



გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია **Eberhard Schöck Stiftung-ის, UNDP-სა და , Euro solar Georgia-ს მხარდაჭერით,** სსიპ კოლეჯში ფაზისი განხორციელდა მზის ელექტროსადგურების მონტაჟისა და ექსპლუატაციის თეორიული და პრაქტიკული სწავლება, სადაც გადამზადდა სხვადასხვა კოლეჯებიდან პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მიმართულებით. პროექტის ფარგლებში სახელოსნოს სახურავზე დამონტაჟდა მზის ელექტრო პანელები და გაიხსნა ჰაბი „სოლარ ინსტალერ“.

გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „Eberhard schök schtifftung“-ის მხარდაჭერით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ლაიფციგში, სტაჟირება გაიარეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ პროფესიულ სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით ხორციელდება Erasmus+ პროექტი ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო პროგრამების ხელშესაწყობად (INVEsT in you: promote international traineeship programs for Armenian, Georgian and Moldovan students in Central Europe. IN-VET).
პროექტის ფარგლებში, სტუმარ-მასპინძლობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული სტუდენტი თინათინ ალიევა პროფესიული საგანათლების მასწავლებელთან მარინე გოგუაძესთან ერთად იმყოფებოდა 4 დღიან ტრენინგზე უნგრეთში. შემდეგი ეტაპი იყო სტაჟირების 80-დღიანი პროგრამა სტუდენტებისთვის უნგრეთში, ბუდაპეშტში, სადაც პროფესიული სტუდენტი თინა ალიევა იმყოფებოდა. სტაჟირების პერიოდი იყო 2024 წლის 3 ივლისი - 17 სექტემბერი .

2023

ფოთისა და ხობის ლოკაციაზე განხორციელდა მეხამრიდების, ცენტრალური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის, სახანძრო სიგნალიზაციის, სახანძრო უსაფთხოებისა და საევაკუაციო სისტემების მოწყობა.

2022

გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „Eberhard schök schtifftung“-ის მიერ, სადურგლო სახელოსნოს სახურავზე დამონტაჟდა მზის პანელები. ამ ეტაპზე სადურგლო სახელოსნო სრულად გადასულია მზის ელექტრო ენერგიის მოხმარებაზე.

2020

გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „Eberhard schök schtifftung“-ის მიერ, აშენდა, მოეწყო და სრულად აღიჭურვა სადურგლო სახელოსნო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ ფარგლებში. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი სახელოსნო შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს მიიღონ მათ სრულყოფილი და სრულფასოვანი განათლება, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ ნაწილში. გერმანული მხარის მიერ, პროექტის ფარგლებში გადამზადნენ აღნიშნული მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლები.

აღნიშნული თანამშრომლობა დღესაც აქტიურად გრძელდება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. გერმანელი ექსპერტები წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ სტუმრობენ კოლეჯს და გვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.



2019

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, საინჟინრო და სატრანსპორტო მიმართულების პროფესიული სტუდენტებისათვის აშენდა, მოეწყო და სრულად აღიჭურვა საერთაშორისო სტანდარტების 3 სასწავლო სახელოსნო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „შედუღება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პროფესიული სტუდენტები სრულფასოვან თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ეუფლებიან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო სახელოსნოებში.

მოგვიანებით 2022 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ და ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ ორპორტიანი,ჰიდრავლიკური და ძრავის ამოსაღები ამწის შეძენა განხორციელდა.

2018

„ინოვაციური პროფესიული განათლების დანერგვა საქართველოს მეთევზეობის ინდუსტრიაში“ პროექტის ფარგლებში, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ მოეწყო სახელოსნოების სრული ციკლი თევზის მოშენებიდან

რეალიზაციამდე. მოეწყო და აღიჭურვა ლაბორატორია, ბიო უსაფრთხო კაბინეტებითა და დანადგარებით, რპფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თევზის გადამუშავება“ მოეწყო თევზის გადამუშავების სახელოსნო.

2017

2015 წლის ნოემბერში კოლეჯს გადმოეცა ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ნოჯიხევში მდებარე შენობა- ნაგებობა, რომლის რეაბილიტაციის პროცესიც დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2017 წელს. მოეწყო 2 სართულიანი სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია (სველი წერტილის გარეშე), **დასრულდა 4 სართულიანი სასწავლო კორპუსის** ფასადის მოპირკეთებითი, გადახურვისა და შემინვითი სამუშაოები) .

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, 2012 წლიდან მიმდინარეობს ამავე მუნიციპალიტეტში მოღვაწე საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და ოქროს მედლის კანდიდატ კურსდამთავრებულთა მატერიალური წახალისება (ჯილდო) და საზეიმო ღონისძიებაზე გადაცემა.

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ქალბატონი ნინო ბაკურაძის ინიციატივითა და ძალისხმევით 2017 წლიდან პროექტში ჩაერთო კოლეჯი ფაზისი და 2016-2017 სასწავლო წელს გამოვლინდა პირველი, წლის საუკეთესო პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელსაც ფულადი ჯილდო 300 ლარის ოდენობით გადაეცა, ხოლო 2018 წლიდან კონკურსში პროფესიული სტუდენტებიც ჩერთვნენ. მერვე წელია გრძელდება თანამშრომლობა ზემოაღნიშნული მიმართულებით. ამასთანავე, ყოველწლიურად მზარდია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოს ოდენობა.

2017 წელს შშმ პირთა საჭიროებისთვის და სრული ადაპტაციისთვის მოეწყო ლიფტი.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო“ - საგრანტო პროექტის „ინოვაციური პროფესიული განათლების დანერგვა მეთევზეობის ინდუსტრიაში“ ფარგლებში კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები ნაირა ნადარაია, ირმა გოჩოლეიშვილი,ბესიკ ნაჭყებია და ნათელა ლაშხია 2 თვის ვადით იმყოფებოდნენ სტაჟირებით ფინეთში, ქალაქ კუოპიოში, იმ პერიოდისთვის თანამედროვე მეთოდების გასაცნობად, ლაბორატორიებში მეთევზეობის მიმართულებით. მათ მონაწილეობა მიიღეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეთევზეობის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში. ამასთანავე, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, ფინეთში მიღებული ცოდნისა და პრაქტიკის დანერგვა დაიწყო კოლეჯში.

EXIT
BIOBASE